სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/77

ქ. თბილისი 25 04 2019 წ.

კონკურს „კრეათონი - ფიროსმანი ციფრულ სივრცეში" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეგიდით გამართულ შემეცნებით, შემოქმედებით კონკურს „კრეათონი - ფიროსმანი ციფრულ სივრცეში" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით

ვბრძანებ:

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეგიდით გამართულ შემეცნებით-შემოქმედებით კონკურს „კრეათონი - ფიროსმანი ციფრულ სივრცეში" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტთა აქტივობების განხორციელებისათვის გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალიწინებული აქტივობების კოორდინირება და კონკურსის საინიციატივო ჯგუფებთან შესაბამისი კომუნიკაცია უზრუნველყოს უნივერსიტეტის მედიატექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა მაია ბენიამ;

3. უნივერსიტეტის ფაკულტეტებს დაევალოთ წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმციის შესახებ სტუდენტთა მაქსიმალური ინფორმირება და აქტივობებში ჩართვის ხელშეწყობა;
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს კანცელარიას;
5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი **არჩილ ფრანგიშვილი**